საქართველოს შემარცხენე კომ.-ფედ. საქ. პარტია.

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 2,500,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 150,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 ...
4 „ ...
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 1 მ. 50 კ. ჩერვონც.
4 „ 1 მ. — „

№ 579 კვირა, სექტემბრის 23 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 200,000

## სახელმწიფო აკადემიური დრამის დირექცია

### იწვევს 1923—24 წლის სეზონისათვის

**მუდმივ თანამშრომელებს, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს გასამრჯელო თვიურათ.**

მსურველთ შეუძლიათ შემოიტანონ განცხადება რუსთაველის თეატრის კანცელარიაში 23 ენკენისთვემდე.

მისაღები გამოცდები დანიშნულია 24 ენკენისთვეს, დღის 12 საათზე, რუსთაველის თეატრში.

2—2

**თეატრის დირექცია.**

## ბეჭდვითი საქმის მუშაკთა საყურადღებოდ

საქართველოს ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სექციის ბიუროს პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, 24-დან 30 სექტემბრამდე სექციის ბიუროს ბინაზე (მუშათა სასახლე, მესამე სართული, ოთახი № 37) საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე დანიშნულია ბეჭდვითი საქმის მუშაკთა ტფილ. სექციის

## წევრების პერერეგისტრაცია.

ისინი, ვინც პერერეგისტრაციაზე არ გამოცხადდებიან, სექციიდან და კავშირიდან გამორიცხულად ჩაითვლება.

ყველა ცნობებისათვის მიმართეთ სექციის რწმუნებულებს.

კავშირის პასუხისმგებელი მდივანი: **შავერდოვა.**

საორგ. განყ. გამგე: **მეძმარიაშვილი.**

ბეჭდ. საქმის მუშაკთა სექც. პასუხისმგ. მდივანი: **გიულიუმიანი.**

## დღიური

— ბალკანეთზედ მდგომარეობა მწვავდება.
— ბოლგარეთში დააპატიმრეს 2.000 მეტი კაცი.
— საფრანგეთში სხვა და სხვა ადგილას იყო მიწის ძვრა.
— რუმინეთში ალკრძალეს ფაშისტთა ყრილობა.
— საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობა განახლდა.
— დე-რივერას სურს მთლიანი ესპანეთი.
— კონსტანტინოპოლის ევაკუაცია დამთავრდება 3 ოქტომბრისათვის.
— ოსმალეთმა დაიჭირა სადაო ტერიტორია ბულაკ-ბუში.
— პალესტინაში აჯანყება ჩააქრეს.
— სარეპარაციო საკითხებში საფრანგეთსა და ინგლისს შორის დიდი წინააღმდეგობა არ არსებობს.
— ხმებია, ვითომც გერმანია შეუდგა კაპიტუალიციის გატარებას ცხოვრებაში.
— ფიუმეს მცხოვრებნი ეწინააღმდეგებიან ანექსიას.
— მუსოლინმა ახალი წინადადებები წარუდგინა სამხრეთ-სლავიას
— რადომირში (ბოლგარეთში) აჯანყებულებმა დაარსეს დროებითი რევოლიუციონური მთავრობა.

### გაზეთი „ტრიბუნა“

**ენკენისთვის 15-დან ღირება:**

| | |
|---|---|
| პროფკავშირთა წევრებისათვის თვიურად | 4.000.000 მ. |
| დაწესებულებათა და კერძო პირთათვის | 5 000.000 „ |
| ცალკე ნომერი | 200.000 „ |

## რევოლიუციის სიმპტომები

დასავლეთში რევოლიუციის სიმპტომები ხელსახებია, გერმანეთის სოციალ-პოლიტიკური ვითარება რევოლიუციონურ გამოსვლების ნოყიერ ნიადაგად იქცა. კოალიციონური მთავრობის პოლიტიკამ ვერ გაართვა თავი ქვეყნის კრიტიკულ მდგომარეობას. მთელი რიგი საკითხები, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკისა გადაუჭრელია. ეკონომიური ცხოვრების ანორმალობა თავის აპოგეიას აღწევს. მარკის კურსის დაცემა ვერ შეაჩერა ახალმა ფინანსიურმა რეცეპტებმა. დოლარის ოფიციალი კურსი 322 მილიონ მარკას უდრის შავ ბირჟაზე. ცხადია ასეთი ფინანსიური რეჟიმის დროს შეუძლებელი ხდება, როგორც წარმოების ნორმალი მსვლელობა; ისე განაწილების ჩვეულებრივი მდგომარეობის დაცვა.

კურსის დაცემა, სცემს მუშათა ხელფას, ეს იწვევს გაფიცვების ტალღის გაძლიერებას. ფასდაკარგულ ქაღალდებში გლეხობა არ იძლევა სოფლის ნაწარმოებს და ყოველივე ეს ავსებს საერთო ვაკხანალიის კონცერტს.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ გერმანეთის პოლიტიკური ორიენტაცია მსოფლიოს პოლიტიკურ ძალთა გადაყოფაში საბჭოთა რესპუბლიკებისაკენ უნდა იხრებოდეს, რომ ობიექტურად მოკავშირეთა პოლიტიკა გერმანეთს მიდენის რევოლიუციისაკენ.

დღეს, როგორც დეპეშები გადმოგვცემს, ზოგიერთი მინისტრიც შეუძლებლად სცნობს საფრანგეთთან შეთანხმების მიღწევას და მოითხოვს საბჭოთა რუსეთის კურსის აღებას.

ცხადია გერმანეთის გადარჩენა მხოლოდ „საბჭოთა კურსით“ არის შესაძლებელი. ბურჟუაზია ღუპავს გერმანეთის ერს, იგი კაპიტულიაციის გზას ადგია, რადგან სჯობია საფრანგეთის იმპერიალისტებს გაუნაწილოს გერმანელი მუშის ნაცარცვი, ვიდრე მთლად ხელიდან გაუშვას მუშათა შექმნილი სიმდიდრე და ხალხის განაქურდი ქონება.

დღეს მწვავე კლასობრივი ბრძოლაა გერმანეთში. როგორც მუშათა მასების მოძრაობა გარკვეულ სახეს იღებს და აქტიურ გაფიცვებში და დემონსტრაციებში სახავს თავის მოქმედებას, ისე ბურჟუაზიაც ცდილობს თავის ძალების მობილიზაციას და ფაშისტურ დღესასწაულებს მართავს და ალლუმებს აბარებს ადმირალ შერს.

უეჭველად დიდი მნიშვნელოვანი ამბები ხდება გერმანეთის სინამდვილეში. ისიც აშკარაა, რომ გერმანეთის საშინაო და საგარეო პირობები მეტად რთულია. გერმანეთის მშრომელი ხალხის წინაშე აღმართულია მრავალი დაბრკოლება შიგნით და მოსალოდნელია საფრთხე გარედან თუ იგი ხელში აიღებს ძალა-უფლებას. ამ შემთხვევაში საერთაშორისო მუშათა კლასის და საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისაგან მაქსიმუმი ენერგიის გაღება, შეუმსუქებს გერმანეთის მუშათა კლასს თავისუფლებისათვის ბრძოლას.

გერმანეთის მშრომელმა ხალხმა უნდა იხსნას გერმანეთის ერი. კიდევ მეტი, მან უნდა შეასრულოს უდიდესი როლი თანამედროვე მუშათა მოძრაობაში. გერმანეთის რევოლიუცია იქნება შესავალი საერთო ევროპიული რევოლიუციის.

## რევოლიუცია და მართმსაჯულება

„ხალხი ასამართლებს არა ისე, როგორც სასამართლო პალატები; მას არ გამოაქვს განაჩენი, არამედ მოაქვს ელვა და მეხი! ის არ ასამართლებს მეფეებს, არამედ დაანარცხებს მას მიწაზედ და ეს მართმსაჯულებას არ ჩამორჩება სასამართლოს მართმსაჯულებას“.

**რობესპიერის სიტყვიდან ლუი XVI წინააღმდეგ.**

ბურჟუაზიულ მოაზროვნის, შპენგლერისათვისაც კი, ჭეშმარიტებად არის ცნობილი, რომ დიდი რევოლიციები სისხლითა და რკინით ხდებიან.

რევოლიუციის პროცესში შექმნილი საზოგადოებრივი ატმოსფერა შეუძლებელს ხდის ნორმალურ მართმსაჯულების არსებობას, პროცესუალური წესების დაცვას. რამდენად საწინააღმდეგოდ არის დაპირისპირებული სოციალური ჯგუფები, იმდენად მკაცრი, შეურიგებელი და სასტიკია მათ შორის ბრძოლა. „უსისხლო რევოლიუციების“ ეპოქა დინასტიური ბრძოლების დროს შეიძლებოდა იმ აუცილებელ პირობათ, თუ მოწინააღმდეგე შეშინებული არ მიმართავდა თავდაცვითი ზომებს. ადამიანური აღშფოთება, მორალური განცდა„ ჰუმანიური გრძნობა, ვერ შეაფერხებს სოციალური კონფლიქტების პროცესში მტკივნეულ მომენტებს. ქაოსსა და დისჰარმონიას, უდანაშაულო მსხვერპლის გაღებას და სხ. და სხ.

უახლოესმა ისტორიულმა ეპოქამ ორი დიდი რევოლიუცია იცის—საფრანგეთის და რუსეთის. პირველმა ფეოდალიზმის ლიკვიდაცია მოახდინა კაპიტალიზმის სასარგებლოდ. მეორე კაპიტალიზმის ლიკვიდაციას ახდენს სოციალიზმის სასარგებლოდ. როგორც პირველი ისე მეორე სისხლით, რკინით, ტანჯვით და წამებით იშვა და განვითარდა, როგორც პირველმა ისე მეორემ დაამსხვრია „უფლების უფლება“, მართმსაჯულების ჩვეულებრივი წესი.

პარიზში, 13 თვის განმავლობაში ადგილი ქონდა 1220 მოქალაქის წამებით სიკვდილს (22 პრერიალამდე), შემდეგ 46 დღის განმავლობაში, რობესპიერის დაცემამდე, 1376 მოქალაქის წამებით სიკვდილს ე. ი. დღეში 28 ესალმებოდა წუთი სოფელს.

მარტო გილიოტინამ 17.000 მოქალაქე იმსხვერპლა.

კონვენტიც არ გადარჩა ტერორის ეპოქის რისხვას: 782 წევრიდან 3 წლის განმავლობაში სიკვდილით დაისაჯა და მოკლულ იქნა 76, რომლებიც კონვენტის პრეზიდენტებად იძყოფებოდენ. 18 გილიოტინამ იმსხვერპლა, 8 გადასახლებულ იქნა გვიანაში და სხ. ადგილებში. 22 კანონს გარეშე გამოცხადდა. 6 სატუსაღოში მოექცა, 3 თავი მოიკლა, 4 ჭკუაზედ შეიშალა. მაშასადამე 76-დან მხომხოლოდ 15 გადარჩა უვნებელი.

1794 წ. 22 პრერიალის კანონით გამარტივდა რევოლიუციონური ტრიბუნალი. პოკიტიკურ დამნაშავეთ აღეკრძალა დამცველთა ყოლა, მოწმენი ზედმეტად იქნა ცნობილი. მატერიალური დამტკიცება საჭირო არარ შეიქნა. ტრიბუნალს მიენიჭა უფლება შეხებოდა კონვენტის წევრებს კონვენტის ნების წინააღმდეგ, რაც თვით კონვენტმა დაამტკიცა შიშით რომესპიერის წინაშე.

გასამართლება დანტონისტების, ებერტისტების და სხ. ეს თვით სამართლის დასჯა და გასამართლებად იქცა. ამ რევოლიუციას კაცობრიობამ უწოდა **დიდი რევოლიუცია.** დიდი მოძრაობის მნიშვნელობა არ დაიფარა ველური მომენტების სიძლიერით.

რუსეთის რევოლიუციამაც ერთი ხელის დაკვრით მოსპო ცარიზმის „ნორმალური სასამართლო“. მან საგანგებო კომისიის კომპენტენცია ფართოდ მოხაზა. „ჩეკას“ შიშით თრთოდა და დღესაც თრთიან ყველა დამნაშავენი არსებულ ძალაუფლების წინაშე. რუსეთის რევოლიუციაშიაც და ჩვენშიაც ადგილი ჰქონდა მრავალ უდანაშაულო მსხვერპლს, შეცდომებს, გაუგებრობით დასჯას. ყოველივე ეს თან ხლებია რევოლიუციონური ეპოქის სასამართლოს, რომელიც პროცესუალურ მხარეებს ვერ დაიცავს.

საგანგებო კომისიის მოქმედება საერთოდ აღებული, დიდი რევოლიუციონური ხასიათისაა. მან შესძლო თავისი მისიის შესრულება. იგი არ მისულა საფრანგეთის რევოლიუციონურ ტრიბუნალის უკიდურესობამდე. მიუხედავად ამისა გასაქანი არ მისცა რეაქციონურ ძალების თარეშს.

„ჩეკა“ რევოლიუციონური პროცესის აუცილებელი შედეგია. მისი მიზანი და დანიშნულება რეაქციისაგან რევოლიუციის დაფარვაა. რამდენათაც ძლიერია რეაქციის რიგები, იმდენათ ძლიერია სასტიკი, შეუბრალებელი და მკაცრია საგანგებო რაზმები, რამდენადაც სუსტება რეაქციის ფრონტი, იმდენათ ვიწროვდება მისი მოქმედების ასპარეზი.

ამიერ-კავკასიაში ანტისაბჭოთა პარტიების ლიკვიდაციას ლოღიკურად უნდა მოყვეს საგანგებო კომისიის შეზღუდვას. მან შეასრულა უკვე თავისი დანიშნულება.

საშინაო ფრონტი დღეს მოხსნილად შეიძლება ჩაითვალოს. რეაქციის ძალების ნაშთები ლა თუ სცოცხლობენ. ამ ძალებისათვის კი საგანგებო კომისიის არსებობა საჭირო არ არის.

შეუძლებელია დიდხნობით მართლმსაჯულების მომწყვდევა საგანგებო კომისიის კომპეტენციის ფარგლებში.

ახალი, რევოლიუციონური ზნეობა და სამართალი უნდა იქნეს ამიერიდან მოქალაქეთა საქციელის კანტროლი და მსაჯული.

ეს საკითხი უკვე წამოიჭრა პრესაში.

ნორმალური პირობები სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა, მოითხოვს ნორმალურ სასასამრთლოსაც. ამ სფეროში პრაქტიტული ნაბიჯებიც გადადგმულია.

რევოლიუციის ნგრევითი პროცესში ხალხი ასამართლებს მტარვალებს ან თავისი სტიქიით, ან საგანგებო ორგანიზაციების საშუალებით. რევოლიუციის აღმშენებლობის პროცესში, რეაქციის ლიკვიდაციის შემდეგ, ხალხი ქმნის ახალ სასამართლოს, პროგრესიულ მართლმსაჯულებას, აუქმებს დროებითი ზომებს, საგანგებო ორგანიზაციიბს. ასე უნდა მოვიქცეთ დღესაც.

**სერ ამაღლობელი.**

## ჭრელა

„ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“-ო.

**ხალხ. ანდაზა.**

ევროპაში გადახვეწილმა მენშევიკებმა, მართალი რომ შემოაკლდათ, ტყუილებს მიჰყვეს ხელი. აცხობენ ახალ-ახალ ჭორებს და ავრცელებენ ევროპის პრესაში.

აი კიდევ ერთი ნიმუში მათი ჭორიკანობისა. ქალაქ რიგაში არსებულ გაზეთში—„რიგის კურიერი“ 26 აგვისტოდან, მოთავსებულია ასეთი ცნობა:

„კონსტანტინეპოლიდან 13 აგვისტოს რიცხვით გვატყობინებენ: ტფილისში, პარტიულ კომიტეტის ბინაში უცნობის პირის მიერ გადასროლილ იქმნა ბომბი. მისის აფეთქებით მოკლულ იქმნენ რამდენიმე პარტიული წევრი. ამიერ კავკასიის ჩეკამ ქალაქში მრავალი პირები დაატუსაღა. დატუსაღებულები ეკუთვნიან მუშა-სოციალ.ისტების რეგებს“.

აი ასეთს „ისტორიას“ სწერენ საქართველოს შესახებ ჩვენი მენშევიკები საზღვარ გარეთ.

ყველა ყველა და ეს „მუშა-სოციალისტები“ რაღა პარტიაა, ვერ გავიგეთ. ამ სახელ ქვეშ ხომ არ გულისხმობენ აქ დარჩენილ ამხანაგებს?

„წყალ წაღებული—ხავს ეკიდებოდაო“,—ამაზეა ნათქვამი.

## რადიო-დეპეშები

### გერმანიის ამბები

„ეკო დეპარი“-ს ბრიუსელიდან აცნობებს კორესპონდენტი, რომ იქ იმედი აღარა აქვთ საკონტრიბუციო საკითხის ძალადობით გადაწყვეტისა და სურთ ახალი სამშვიდობო კონფერენციის მოწვევა ბელგიის პროექტის განსახილველად.

ხუთშაბათს ფრანგებმა რამდენიმე გუნდით დაიჭირეს მთელი რიგი შენობებისა მანგეიმში.

ფრანგებმა ქალ. გელზენკირხენს მოსთხოვეს ყოველდღიურად 10.000 ფრანკის გადახდა საოკუპაციო ხარჯების დასაფარავად. როდესაც ბურგომისტრმა ამაზედ უარი განუცხადა, ფრანგებმა ქალაქის სალაროდან წაიღეს 350 მილიარდი მარკა.

როგორც გადმოსცემენ, ახალი ფინანსიური რეფორმა გატარებული იქნება საკანონმდებლო გზით, რისთვისაც შემდეგ კვირაში მოიწვევენ რეიხსტაგის სესიას.

„დეიჩე ალგემეინე ცეიტუნგის“ ცნობით, გერმანიის მთავრობამ ოფიციალურად გადასწყვიტა დანიშნოს დიპლომატიური წარმომადგენლები პარიზსა და ბრიუსელში.

ბალდვინისა და პუანკარეს შეხვედრამ პარიზში გამოარკვია, რომ საფრანგეთსა და ინგლისს შორის სარეპარაციო საკითხებში აო არსებობს პრინციპიალური განსხვავება.

დადის ხმები, ვითომც გერმანიის მთავრობა

ფაქტიურად შეუდგა კაპიტულაციის გატარებას და შესწყვიტა პასიური წინააღმდეგობა რურში.

ლონდონში ძლიერდება იმედი, რომ საკონტრიბუციო საკითხი მალე მოგვარდება.

ბავარიის შინაგან საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ, თუ საფრანგეთმა უარყო შტრეზემანის წინადადებანი, ამით იგი ერთხელ კიდევ დაამტკიცებს, რომ ესწრაფის გერმანიის მოსპობას.

ობერგაუზენში ფრანგებმა დაიჭირეს ელექტრონის სადგური, მუშებმა შესწყვიტეს მუშაობა.

ზემო ბადენის რაიონებში საერთო გაფიცვები გრძელდება. მოძრაობა უფრო და უფრო პოლიტიკურ ხასიათს იღებს.

### ბალკანეთზედ

სამხრეთ-სლავია-ბოლგარეთის საზღვარზედ მდგომარეობა ფრიად სერიოზულია. სამხრეთ-სლავიის მთავრობა, საფრანგეთის იმედით, ემზადება მაკედონიის საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად. საფრანგეთის ინიციატივით მოკავშირეებმა, და მათ შორის იტალიამაც, ბოლგარეთის მთავრობას წარუდგინეს საპროტესტო ნოტა მაკედონიაში ბანდების ორგანიზაციის გამო. საფრანგეთის პრესა იტალიას ბრალსა სდებს ბოლგარეთისათვის მხარის დაჭერაში.

კარგად შეიარაღებული ბანდები გამზადებული არიან სამხრეთ სლავიისა და ბოლგარეთის საზღვარზედ, სამხრეთ-სლავიის ჯარები თავს იყრიან ცრიბროდის მიმართულებით.

ბოლგარეთის მთავრობამ საპროტესტო ნოტით მიმართა მოკავშირეებს სამხრეთ-სლავიის სამხედრო სამზადისის გამო და სთხოვს ერთა ლიგას ჩაერიოს საქმეში, რათა მოისპოს მაკედონელების დევნა სამხრეთ-სლავიაში.

საბერძნეთის პრემიერმა განატორმი ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა გამწვავებული მდგომარეობა ბალკანეთზედ, სადაც ბოლგარეთი მოქმედებს მაკედონიის კომიტეტის ჩაგონებით. საბერძნეთს იმედი აქვს რუმინეთის მხრივ მხარის დაჭერისა, თუ ბოლგარეთი მას დაეცემა.

ბოლგარეთისადმი მიმართულ ნოტაში სამხრეთ-სლავია აცხადებს, რომ მან იცის რომ ბოლგარეთი ეხმარება მაკედონიის ბანდებს, და ამიტომ, ბოლგარეთის ბანდების მიერ საზღვარზე გადასვლა გამოიწვევს სოფიის ოკუპაციას.

მაკედონიის ავტონომისტები სცდილობენ ისარგებლონ ბალკანეთის კონფლიქტებით და თუ ასტყდა ომი დაეცნენ სერბეთის მაკედონიას.

### მუშათა მოძრაობა

**ვენა.** ბოლგარეთის კომპარტია მთავრობის მიერ კანონს გარეშე გამოცხადებულია იმ საბაბით, რომ ვითომც კომუნისტები 17 სექტემბერს აპირებდნენ გადატრიალების მოხდენას. დაატუსაღეს, სამხრეთ-სლავიის ცნობებით, 2.000 მეტი კაცი. დატუსაღების დღეს მთავრობამ განაცხადა, რომ დასჯის ყველა დატუსაღებულს, თუ შეეცდებიან გადატრიალების მოხდენას.

**ვენა.** 18 სექტემბერს ბოლგარეთში დაიწყო საპროტესტო დემონსტრაციები კომუნისტების დევნის გამო.

**ვარშავა.** დანციგის ნავთსადგურში ხელახლა იფეთქა მტვირთველთა გაფიცვამ.

**სტოკჰოლმი.** კომინტერნის დადგენილებათა განსახილველად ნორვეგიის კომპარტიის ცეკა იწვევს არაჩვეულებრივ პარტიულ ყრილობას.

**ნიუ-იორკი.** მბეჭდავთა გაფიცვის გამო მეტი წილი გაზეთებისა არ გამოსულა.

**პარიზი.** იზერის ბასეინის სამთამადნო მუშათა უნიტარული პროფკავშირის ყრილობა პროტესტს აცხადებს საფრანგეთში მაღაროების მუშების შეკრების გამო რურში სამუშავებლად.

**ნიუ-იორკი.** მბეჭდავთა გაფიცვა ისევ გრძელდება. კავშირის თავმჯდომარემ გაფიცვა უკანონოდ გამოაცხადა.

**პრაგა.** (ჩეხო-სლოვაკია). სამთამადნო მომუშავეთა გაფიცვა, რომელიც მეორე თვეა გრძელდება, მწვავდება, რადგანაც მწარმოებლებმა ახალი წინადადება მისცეს ხელფასის დაკლების შესახებ.

**ქრისტიანია.** ნორვეგიის ყველა ხე-ტყის ქარხნებში იფეთქა გაფიცვამ.

### ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო.

**პრაგა** (ჩეხო-სლოვაკია). ს. ს. რ. კ. წარმომადგენელმა იურენკმა გადასცა ჩეხო-სლოვაკიის გარეშე საქმეთა მინისტრს რწმუნების სიგელები. საპასუხო სიტყვაში მინისტრი მიესალმა ს. ს. რ. კ. შედგენას და გამოსთქვა რწმენა, რომ ამ ორ სახელმწიფოს შორის დარჩება შემდეგშიაც მეგობრული განწყობილება.

**ჰელსინგფორსი** (ფინეთი). ფინეთის დელეგატმა ერიხმა ლიგის საბჭოში შეიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვდა „კარელის მცხოვრებთა ენერგულ დაცვას“. საბჭომ რეზოლიუცია გადასცა კომისიას.

**ლონდონი.** „ელექტრიან ტაიმსი“ სწერს, რომ რუსეთთან ნორმალური ურთი-ერთობის აღდგენა ინგლისს დიდ სარგებლობას უქადის ელექტროტეხნიკურ წარმოებაში, რომელიც ახლა მეტად ცუდ მდგომარეობაშია.

**რიგა** (ლატვია). 3 ოქტომბერს იხსნება რუსეთ-ლატვიის რკინის გზების კონვენცია.

**რიგა** (ლატვია). რუსეთში იგზავნება მესამე ჯგუფი პოლიტიკურ ტუსაღებისა რიცხვით 21, რომელთა გადაცვლაც მოხდება საზღვარზედ.

**რიგა.** პარიზში გამგზავრებული გზათა სახალხო კომისარიატის გენერალური ინსპექტორი დელგასი მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო რკინისგზელთა ყრილობაზედ, რომელზედაც განხილული იქნება ს. ს. რ. კ. კავშირში მიღებისა და რუსეთსა, ლატვიისა, გერმანიისა და ლიტვის შორის კონვენციის საკითხები.

**მოსკოვი.** კომინტერნის კოოპერატიული სექცია ოქტომბრის რევოლიუციის წლის თავზედ იწვევს რუსეთისა და უცხოეთის კოოპერაციის წარმომადგენელთა თათბირს.

**ლონდონი.** „დეილი მეილის“ იერუსალიმიდან აცნობებენ, რომ ტრანსიორდანიაში აჯანყება ჩააქვრეს და ახლო მომავალში მის გარემოებას არ უნდა ველოდეთ.

**მოსკოვი.** ფიუმეს მცხოვრებლებმა მიმართეს იტალიის პარლამენტსა და სენატს.

მიმართვაში მცხოვრებლები წინააღმდეგი არიან ფიუმეს ანექსიისა იტალიის მიერ და მოითხოვენ რაპალოს ხელშეკრულების შესრულებას.

**ვენა.** ბელგრადის გაზეთების ცნობით, მუსოლინი უკანასკნელი ნოტით სამხრეთ-სლავიას აძლევს ნავთსადგურ ბაროზსა და დელტას. ფიუმეს დანარჩენი ნაწილი ეძლევა იტალიას. თვით ნავთსადგური ფიუმე სახმარებლად მიეცემა სამხრეთ-სლავიას 99 წლით.

სამხრეთ-სლავიის ავტორიტეტულ ცნობის მიხედვით, რომსა და ბელგრადს შორის ნოტების გაცვლა-გამოცვლა მიიყვანს მათ შეთანხმებამდე. ამ იმედებს ამართლებს აგრეთვე ის ხმები, რომ მალე ერთმანეთს ინახულებენ პაშიჩი და მუსოლინი.

**ვენა.** უკანასკნელ ცნობებით სოფიაში უკვე სრული სიწყნარეა. ზოგიერთ ქალაქებში გრძელდება ბრძოლა აგრარიებისა და კომუნისტებისა მთავრობის ჯართან.

**ვენა.** რუმინეთის გაზეთების ცნობით ბოლგარეთმა მოიგონა მხოლოდ კომუნისტების შეთქმულება, რათა საბაბი ჰქონოდა გასწორებოდა მათ.

**ბერლინი.** ბულგარეთიდან იტყობინებიან, რომ ბოლგარეთში ხდება სისხლის მღვრელი შეტაკებანი. რადომირთან აჯანყებულებმა დაამარცხეს მთავრობის ჯარი. რადომირში აჯანყებულებმა დაარსეს დროებითი რევოლიუციონური მთავრობა.

**ლონდონი.** გაიხსნა ირლანდიის პარლამენტი თავმჯდომარედ ხელმეორედ აირჩიეს კოსგრევი, ამხანაგად—მუშათა პარტიის ლიდერი ჯონსონი. რესპუბლიკანელები გახსნაზედ არ იყვნენ.

### ესპანეთის ამბები

დე-რივერამ განაცხადა, რომ ზოგიერთი სავაჭრო ხელშეკრულება, დადებული ძველი მთავრობის მიერ, არ შეეფერება ესპანეთის ინტერესებს.

ესპანეთში არსდება ახალი სამოქალაქო გვარდია მოხალისეებისა, იტალიის ფაშისტთა მილიციის მსგავსად.

სეპარატისტების მიმართ დე-რივერამ მტ[...] ლი პოზიცია დაიჭირა და აცხადებს, რომ მას სუ[...] შეანარჩუნოს ესპანეთის მთლიანობა.

აკრძალულია სეპარატისტების ყოველგვ[...] დემონსტრაციები. [...]

დე-რივერამ განაცხადა, რომ მოკლე [...] დაიწყება ესპანეთის სამხედრო მოქმედება მარ[...] კოში.

## უცხოეთი

**ლონდონი.** „მანჩესტერ გარდიენი“ აცხად[...] რომ ინგლისს არ შეუძლიან მხარი დაუჭიროს რ[...] რის ოკუპაციას. რადგანაც იგი არღვევს ვერსა[...] ხელშეკრულებას და სცემს გერმანიის ვალების [...] დახდის უნარიანობას. ბრიტანეთის პრესა მოი[...] ხოვს მთავრობის სასწრაფო სხდომის მოწვევას, რ[...] მელმაც უნდა განიხილოს ინგლისის საგარეო პ[...] ლიტიკა.

**ლიფილდი.** ბრეტანის (საფრანგეთი) სხვა [...] სხვა ადგილებში მოხდა ძლიერი მიწისძვრა. [...] ძულ მალტუდან იტყობინებიან ძლიერი მიწის ძ[...] შესახებ, რომელსაც საგრძნობი ზარალი არ [...] ყოლია.

**ვენა.** რუმინეთის მთავრობამ აკრძალა [...] შისტთა ყრილობა და განზრახვა აქვს მთავრობა[...] ფაშიზმის თანამოაზრენი შესცვალოს ლიბერალ[...] პარტიების წარმომადგენლებით. ფაშისტური პრ[...] მოუწოდებს სამხედრო გადატრიალებისაკენ.

**ვენა** საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის დ[...] პლომატიური ურთიერთობა განახლდა. კარაგ[...] უკვე დაუბრუნდა ოსმალეთს, კუნძულები იმბრ[...] და ხეხედოსი გადაეცემა ერთი კვირის შემდეგ.

**ანგორა.** კონსტანტინოპოლის ევაკუაცია აჩ[...] რებული ტემპით მიმდინარეობს და დამთავრდე[...] 3 ოქტომბრისათვის.

**პარიზი.** კონსტანტინოპოლიდან მიღე[...] ცნობებით, ოსმალეთმა დაიჭირა სადაო ტერი[...] რია ბულად-ბუზი, რომელიც იმყოფება ოსმალ[...] სპარსეთის საზღვარზედ.

ოსმალეთმა დაიჭირა აგრეთვე კუნძული გ[...] რთ მდინარე მარიცის შესართავთან.

## ახალი ამბები

— **შრომის სახ. კომისარიატში** დამტკიცებულ იქნა პროექტი ცირკულიარის და ანკეტის შრომის სასამართლოებსა და დროებით სესიებში შრომის სახ. კომისარიატის წარმომადგენლების მიერ შესავსებათ.

— დამტკიცებულ იქნა შრომის და იუსტიციის სახ. კომისარიატების დადგენილების პროექტი დაზღვეულების მიერ დამზღვევ კასათა კომიტეტების დადგენილებათა განსაჩივრების წესის[...] სახებ.

— გაუქმებულ იქნა სიღნაღის შრომის [...] პექცია და უკანასკნელის მოვალეობის აღსრ[...] დაევალა ადგილობრივ დამზღვევ კასის თავმ[...] მარეს და ამასთანავე აღდგენილ იქნა შრ. [...] ტორის თანამდებობა ფოთში.

— წინადადება მიეცა შრომის დაცვის [...]

## სენაკის სამაზრო პირველი თავისუფალი პარტიული კონფერენცია.

(დასასრული)

### უკანასკნელი სხდომა.

კრება გაიხსნა აგვისტოს 28-ს, დილის 8 საათზე ამხ. **ნ. ჩაჩავას** თავმჯდომარეობით. გასარჩევი იყო მიმდინარე საკითხები. გამოყოფილ იქნა განსაკუთრებით სამი საკითხი: იარაღის, ბიუროს და პარტწევრების გადასახადის შესახებ. სამივე საკითხის შესახებ მოსმენილ იქმნა სათანადოთ დამუშავებული მოხსენებები. გაირჩა აგრეთვე პარტიის უღირსი წევრთაგან გაწმენდის საკითხი. მართალია, როგორც გამოირკვა, ადგილებიდან მოხსენებებით, ორგანიზაციებში ადგილი არა აქვს არცერთ არა მუშა ელემენტს, მაგრამ გაწმენდა მაინც საჭიროა მუშაობის შემდეგი წარმოებისათვის. აღიძრა რამოდენიმე, არა დიდი მნიშვნელობის მქონე კითხვები. ყველა დასმულ საკითხების გონივრულად გადაწყვეტის მიზნით, ამხანაგ დელეგატები განსაკუთრებით მიმართავდენ ამხ. მუშიშვილს, რომელიც იძლეოდა საფუძვლიან განმარტებებს. სარედაქციო კომისიას გადაეცა წამოყენებული რეზოლიუციები.

სამანდატო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. **ა. ნადარეიშვილმა.** კომისიამ გულდასმით განუხილავს, როგორც მანდატები აგრეთვე დელეგატების მიერ შევსებული საანკეტო ფურცლები. კონფერენციაზე წარდგენილია სულ 16 ორგანიზაცია და 3 პარტუჯრედი, 38 დელეგატის სახით—აქედან გადამწყვეტი ხმის—32 სათათბიროთი—6. მომხსენებელმა წარმოადგინა საერთო ნუსხა, საიდანაც ნათლად ირკვევა დელეგატების სოციალური, პროფესიონალური, ოჯახური და სხვა მდგომარეობის სურათი.

**პროფესია.**

| | |
|---|---|
| ქალაქის მუშა | 2 |
| სოფლის მუშა | 23 |
| საბჭოთა მოსამსახურე | 11 |
| მოწაფე | 2 |
| ს უ ლ | 38. |

**სოციალური მდგომ.**

| | |
|---|---|
| ყოფილი გლეხი | 35 |
| ყოფილი აზნაური | 3 |
| ყოფილი თავადი | 0 |
| ყოფილი სასულიერო წოდებით | 0 |
| ს უ ლ | 38 |

**პარტიული სტაჟი.**

| | |
|---|---|
| ერთ წელზე ნაკლები | 0 |
| ერთი-ორი წლამდე | 19 |
| ორიდან სამამდე | 14 |
| სამზე უფროსი | 6 |
| ს უ ლ | 38 |

**განათლება**

| | |
|---|---|
| უმაღლესი | 0 |
| საშუალო | 9 |
| დაბალი | 12 |
| წ.-კ. მცოდნე | 17 |
| არა მცოდნე | 0 |
| ს უ ლ | 38 |

**წლოვანება.**

| | |
|---|---|
| 16—დან 20 წლამდე | 2 |
| 20—დან 30—მდე | 17 |
| 30—დან 40—მდე | 14 |
| 40—ზე ზევით | 5 |

**ს ქ ე ს ი**

| | |
|---|---|
| მამრობითი | 35 |
| დედრობითი | 3 |
| ს უ ლ | 38 |

**ოჯახური მდგომარეობა.**

| | |
|---|---|
| ცოლიანი | 17 |
| უცოლო | 18 |
| გათხოვილი | 1 |
| გაუთხოვარი | 2 |
| ს უ ლ | 38 |

მოხსენების დასრულების შემდეგ წამოყენებულ იქმნა რამოდენიმე შეკითხვა. მომხსენებელმა შემკითხველებს გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხი სხდომა შეწყდა ათი წუთით. სხდომის განახლების შემდეგ ჯერი მიდგა რეზოლიუციებზე, სარედაქციო კომისიის სახელით ამხ. ან. ნადარეიშვილი კითხულობს კომისიაში წარმოდგენილ რეზოლიუციებს ყოველ რეზოლიუციის დაკითხვას კონფერენცია ტაშით უპასუხებს.

რეზოლიუცია საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

**საბჭოთა ფედერაციის საგარეო და საშინაო მდგომარეობა.**

ს. მემარცხენე ს.-ფ. პ. სენაკის სამაზრო კონფერენციამ მოისმინა რა მოხსენება ევროპის და საბჭოთა ფედერაციის საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ აღნიშნავს.

ა) მსოფლიო კაპიტალიზმის განვითარებამ ფინანსიურ კაპიტალის სახით, მიაღწია უმაღლეს წერტილს. ახალი ბაზრების აღმოჩენა, ეკონომიურად ჩამორჩენილ ხალხთა კოლონიალ მდგომარეობაში ჩაყენება შეიქნა კაპიტალისტურ ბურჟუაზიის უახლოეს პრაქტიკული მიზანი, ამ მიზნის განსახორციელებლად ინდუსტრიალად დაწინაურებულმა ქვეყნების მესვეურებმა იმპერიალისტური კოლონიალი პოლიტიკა მოიმარჯვეს ხელში. 1914 წ. მსოფლიო ომი ლოღიკური დასკვნა იყო ამ პოლიტიკის.

ბ) ევროპიულმა ომმა ბურჟუაზიული კაცობრიობა მოულოდნელ შედეგების წინაშე დააყენა. მან გაანადგურა დაგროვილი დოვლათი, მოშალა ინდუსტრიალ წარმოების განვითარების პირობები, გაანადგურა საწარმოო იარაღები; მოკლედ მებრძოლი სახელმწიფოებრივი **ეკონომიურ** კრიზისის ჩიხში მოამწყვდია.

გ) ამ გვარად ფაქტიურად არ გაუმარჯვნია რც ერთ მებრძოლ მხარეს. არსებითად დამარცხდა ორივე მოწინააღმდეგე კოალიცია. გამარჯვებული გამოვიდა ყველა ის ქვეყნები, რომლებიც იდგნენ საერთაშორისო ომის გარეშე, იცავდენ ნეიტრალიტეტს (ამერიკა და სხვ.) ისინი სარგებლობდენ ბრძოლის ცეცხლში გახვეულ ევროპის მდგომარეობით და ახდენდენ საკუთარ ნაწარმოების რეალიზაციას, ევროპის სახელმწიფოებში. ამან გამოიწვია ევროპის ყველა ქვეყნების დავალიანება, ევროპის ფინანსიურად კრიტიკულ მდგომარეობაში ჩაყენება.

დ) ეკონომიურ ფინანსიურ კრიზისი პარალელად ძიგვევლინა ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების გაბატონებული კლასების **პოლიტიკური** ავტორიტეტის და მთლიანობის სხეულის დასუსტება და უძლურება ანტანტის სახელმწიფოებში არ წარმოადგენს ორგანიულად გაერთიანებულ ორგანიზაციას ყველა იმ საკითხებში, რომლის გადაწყვეტის საჭიროებამ წარმოშვა ევრ. „დიადი კავშირი“. ინგლის საფრანგეთ შორის არსებული მტრული განწყობილება საუცხოვო ილიუსტრაციაა ხავს მოკიდებულ ბურჟუაზიულ მსოფლიოს რღვევის დაწყების და ბუნებრივ სიკვდილის პირთან წადგომის.

ე) დასავლეთ ევროპის სინამდვილეში წამოჭრილი ბურჟუაზიული რეაქციის გაღვივება-გაძლიერება არ არის მოვლენა, რომელსაც ჰქონოდეს დიდიხნით არსებობისათვის აუცილებელი სოციალ-ეკონომიური პირობები კაპიტალის შემოტევა ფაშიზმის სახით, მოცემული რეაქციის გაფართოებას ოსტატურად ახდენს ბურჟუაზია, იგი ახალ მეთოდს ხმარობს მშრომელი მასის დასამონავებლად. მუსოლინი სოციალურ რეფორმების ლოზუნგების წამოყენებით ცდილობს პროლეტარიატის მოხიბლვას, მასის შეუგნებელი ფენები ვერ ერკვევა მდგომარეობაში და სცდება.

ბურჟუაზიის ბატონობის ახალი იარაღი[...]

ე) საერთოდ ევროპის თანამედროვე [...] დვილე ამზადებს საფუძვლებს რომელზედაც [...] აშენდეს მომავალ საერთაშორისო რევოლიუ[...] შენობა. ბურჟუაზიულ ხელისუფლებას არ [...] ლუძს ისტორიის მსვლელობის საკუთარ ნ[...] სურვილის მიხედვით განვითარება. უკვე ძლიერ[...] ბა, რევოლიუციონური მოძრაობა. ამის სიპტო[...] ტიურ მაგალითს ნაწილობრივად გერმანიის თან[...] დროვე პოლიტიკური ცხოვრება იძლევა.

არსებითად საწინააღმდეგო სურათი იშლ[...] ჩვენს წინაშე საბჭოთა ფედერაციის ვითარების თვალისწინებით. **ეკონომიურად** წინაურდება ს[...] ჭოთა რესპუბლიკები, მძიმე და მსუბუქი ინდუს[...] რია ადგას აღორძინების გზას. წარმოების ყოვ[...] დარგს ემჩნევა განვითარება.

ყოველდღიური სტატისტიკური ცნობები ად[...] სტურებს ამას. ანალოგიურ სურათს ვხედავთ სას[...] ფლო მეურნეობაშიაც.

უ) ეკონომიური აღორძინება ნაწილობრი[...] შედეგია მუშურ-გლეხური დიქტატურის და ნა[...] ლობრივად ახალ ეკონომიურ პოლიტიკის.

ზ) ურყევ საფუძვლებზე შენდება საბჭოთა [...] დერაციის საგარეო პოლიტიკური გაუმჯობესებ[...] მდგომარეობა. ევროპის სახელმწიფოები იძულე[...] **ლნი** არიან გაუწიონ ანგარიში საბჭოთა ფედე[...] ციას, როგორც ისეთი სახელმწიფოს, რომელ[...] შეუძლია დიდი როლი ითამაშოს ევროპის ეკო[...] **ნოიურად** აღორძინების საქმეში.

თ) კონფერენციები გენუის, ჰააგის, ლოზ[...] 1 და 2-ე ასურათხატებს რუსეთის საერთაშორი[...] პოლიტიკურ ვითარებაში აქტიურად ჩარევის ფ[...] ტს. ირკვევა პირობები საბჭოთა ფედერაციის ფ[...] ტიური და იურიდიულად ცნობისათვის მოწინაა[...] დეგე სახელმწიფოების მხრით.

ი) საბჭოთა ფედერაციას პოლიტიკო-ეკონ[...] მიურ ძლიერების მიზეზთაგანი წითელი არმია სი[...] ერდება იდეურად, მორალურად, ფიზიკურად [...] წარმოადგენს უძლიერეს სამხედრო შეიარაღებ[...] ძალას მთელს მსოფლიოში.

კ) კულტურულ ფრონტის სესამჩნევ ცვალ[...] განიცდის, გასული წლების მაგალითებთან შედა[...] ბით. ამ დარგში მოცემული მიღწევები იძლევა [...] ბოლოო გამარჯვების იმედს და რწმენას. პროლ[...] ტარული და მუშურ-გლეხური მასა ხდება სოც[...] ლისტური იდეების შეგნებულად მატარებელი.

ლ) კერძოთ საბჭოთა ეროვნული რესპუბ[...] კების ცხოვრებაც ეწყობა მკვიდრ ნიადაგზე. მ[...] **ეროვნული ეკონომიკის** შექმნის საქმე რკინის [...] ანდაგზე მყარდება. ეკონომიურად აღორძინებ[...]

ყოფილებას მიიღოს ყოველივე ზომები წარმოებათა მიერ წარმატებაში ჩაბმულ სამუშაო ძალის აღრიცხვის ბარათების თავის დროზე წარმატებისათვის

— შრომის დაცვის განყოფილებას დაევალა პრინციის შრომის ინსპექტორების მოქმედების რეგულიარულად დათვალიერებისათვის ისარგებლოს ტფილისის შრომის ინსპექტორებით.

— კამოს სახელობის საფ.-საქარხნო სასწავლის ფიზიკურ წყოს ქვაბი განთავისუფლებულ იქნა საქვაბო გადასახადისაგან.

— ამხ. მიქაძის, რუხაძის და ჯუღელის შემადგენლობით შემდგარ კომისიას დაევალა ერთი თვის განმავლობაში შემოიღონ შრ. ბირჟაზე. შრ. სახ. კომისარიატის. მიერ შრ. ბირჟათა მოქმედების გაუმჯობესობის შესახებ გამომუშავებული წესები.

— ფეხსაცმელების მკერავთა არტელს სესხის სახით მიეცა 100 ჩერვონეცი მან.

— **შეშა მბეჭდავთა კავშირის მუშებს.** პოლიგრაფიულ გამყოფილებამ მბეჭდავთა კავშირთან ერთად დაადგინა: მიეცეს თვითეულ მუშას ცოლშვილიანს—1-მეოთხედი საჟენი შეშა, ხოლო უცოლშვილოს—1-მერ. საჟენი. თუ შეშა ვერ დაურიგდებათ მიეცეთ ფულად ცოლშვილიანს საქონ. 8 მ. უცოლშვილოს საქონლის 4 მან.

— **მუშათა უბნის მცხოვრებთა და გერმანელთა კალონის შორის ხადავთ საძოვარი იდგილები.** ქალ. აღმასკომმა დაავალა სად.-მამულო განყოფილების გამგეს ამხ. ჯაფარიძეს შეადგინოს კომისია ამხ. არაქელა ოქუაშვილის მონაწილეობით საძოვარი ადგილების დავის გასარჩევად.

— **190 ჩერვონეცი მილიციის თანამშრომლებისათვის.** ტფ. აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა წინადედება მისცა საფინანსო განყოფილებას მიეცეს 290 ჩერვონეცი სამართველოს განყოფილებას მილიციისათვის ზამთრის თბილ ქუდების შესაძენად.

— **კომუნისტების ძმათა სასაფლაო.** აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა წინადადება მისცა სადგილ-მამულო განყოფილებას, უძრავ ქონებათა სამართველოსთან ერთად გამონახის ადგილი კომუნისტების ძმათა სასაფლაოსათვის.

— **კამოს სახელობის საქარხნო სასწავლებელი.** განთავისუფლებული იქნა საბაჟო გადასახადისაგან კამოს სახელობის საფაბრიკო საქარხნო სასწავლებელი.

— **ახალი ჟურნალი.** გამოვიდა ახალი ჟურნალი ტფ. მუშათა, გლეხთა, და წითელ არმიელთა დეპუტატის საბჭოს აღმასკომის „მოამბეს" № 1 შეიცავს 10 გვერდს.

**უცხოელ უმუშევართა შემოსვლის აკრძალვა.** შრომის ბირჟის კომიტეტმა შუამდგომლობით მიმართა საქ. პროფკავშირთა საბჭოს, რათა გამოსცეს განკარგულება საქართველოში უცხოელ უმუშევართა შემოსვლის აკრძალვის შესახებ.

— **შრომის არტელი დათვალიერება.** შრომის ბირჟის კომიტეტმა დაადგინა დაათვალიეროს შრომის არტელები და გამოაკვლიოს მათი სააქსებო ფონდები.

— **ქიმიური ფარმაცევტიული განყოფილება.** მასწავლებელთა ფაკულტეტთან არსებულ ქიმიურ-ფარმაცევტიულ განყოფილებაზე შესვლის მსურველთაგან თხოვნების მიღება გაგრძელდება 23 სექტემბრამდე.

— **ქუთაისის შრომის განყოფილების გამგის დანიშვნა.** ქუთაისის შრომის განყოფილების გამგეთ დაინიშნა ამხ. კობახიძე.

— **უმუშევარი სტუდენტები.** შრ. სახ. კომისარიატის დადგენილებით უმუშევართა მშრომელ სტუდენტებს სამუშაოზე გაგზავნის დროს ეძლევათ პრო.-კავშირვს წევრების უფლებები.

— **პროვინციის შრომის ინსპექციათა რევიზია.** პროვინციის შრომის ინსპექციათა სისტემატიური დათვალიერების მიზნით შრომის დაცვის განყოფილებას დაევალა ისარგებლოს შრომის ინსპექტორებით.

— **სესხი არტელს** შრომის სახ. კომისარიატის გადაწყვეტილებით ფეხსაცმელების მკერავთა არტელს სესხის სახით მიეცეს 100 ჩერვონეცი.

— **მეცადინეობის დაწყება.** განათლების სახ. კომისარიატის განკარგულებით რესპუბლიკის ყველა ტიპის სასწავლებლებში მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბერს.

— **ა. კ. ფინანსთა რწმუნებულის დანიშვნა საქართველოში.** ამხ. ერქომაიშვილი განთავისუფლებულია ფინანსთა რწმუნებულობის მოადგილებიდგან მის მაგივრად დაინიშნა ამხ. გ. ვაშაძე.

— **ვალიუტის კურსი.** 22 სექტემბერი.

| | |
|---|---|
| ჩერვონეცი | 48,200,000 მ. |
| სტერლინგი ეფექ. | 45,000,000 „ |
| ჩეკი. | 41,800,000 „ |
| დოლარი ეფექ. | 9,800,000 „ |
| ჩეკი. | 9,100,000 „ |
| ოსმალური ლირა | 6,950,000 „ |
| საბჭოთა ფული | 16,500 „ |

## პარტიაში

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია მესამე რაიონის ამხანაგების კრება.

მდივანი **შ. ხატიაშვილი.**

ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ამხ. ქაჯაია ანტ., სანიკიძე კლემენტი, ჰელიძე არჩილ, ფირცხალავა შალვა, ვადაჭყორია იპოლიტე, რათა გამოცხადენ პარტიულ ბიუროში 24 სექტემბერს საღამოს 6 საათზე.

**კომიტეტის მდივანი.**

## ს. ს. რესპუბლიკათა კავშირის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

**მოსკოვი** მსოფლიო მნიშვნელობის ცენტრადაა გადაქცეული. იშვიათია ამ ჟამად ისეთი კულტურული კუთხე, რომლის ინტერესის და ლტოლვის საგანს არ შეადგენდეს ის სანახაობა, რომელიც ს. ს. რესპუბლიკათა კავშირის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის სახელითაა ცნობილი.

ამ გამოფენის დანიშნულების შესახებ ყველა ქვეყნების ყოველგვარი პოლიტიკური მიმართულების პრესა განუწყვეტლად ლაპარაკობს. ის ცნობილია, საყოველთაოდ, როგორც უჩვეულო და სრულიად ახალი მოვლენა, თავის სიდიდით შინაარსის მრავალგვარობით.

ძვლებ-გარკინებული ახალი სახელმწიფოების კავშირი, კაცობრიობის განვითარების ახალ ფორმებს ქმნის და ცხადია ეს ფორმები ისეთი შინაარსის ზღუდეთ უნდა გადაიქცნენ, რომლის სიმკვეთრე და უდრეკი პოტენცია, საბოლოოდ მოლვენთავს და ამოაგლეჯს ძველი ბუდიდან დანაცრულ ქვეყანას, რომელსაც სიახლის გენია ისედაც სწვავს და შლის.

ერთის შეხედვით, ჩვენთვის ძალიან ძნელი და დანაშაულიც იყო მოსკოვის გამოფენის აღწერა, ეს იმიტომ, რომ ფრიად დიდ სიძნელეს წარმოადგენდა ყველა იმ შთაბეჭდილებების ქაღალდზე გადატანა, რაც, შემთხვევა გვქონდა მიგველო, ს. ს. რესპუბლიკათა კავშირის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დეტალური დაკვირვების და უმეშველო განცდისაგან. შედარებით, რომ მცირედი წარმოდგენა მაინც შეუქმნათ ქართველ მკითხველს (ვინც პირადად ვერ იხილა იგი), ვკისრულობთ ამ პასუხსაგებ მოვალეობას და ცხადია ძალიან მოკლედ, მინიატურულად შევეხებით უფრო თვალსახებ და მაღალი მნიშვნელობის მოვლენებს დიდ გამოფენაზე.

### I

ს. ს. რესპუბლიკათა კავშირის სასოფლო-სამეურნეო გამოფენას უჭირავს ქ. მოსკოვის განაპირა კუთხე დასავლეთის მხრივ მდინარე მოსკოვზე. გამოფენის უდიდესი ნაწილი მოთავსებულია მდინარის მარჯვენა ნაპირზე და დაახლოვებით უჭირავს რვა კვადრატული ვერსი. იმ ადგილზე, სადაც ამ ჟამად გამოფენაა წინეთ ყოფილა პატარა ტბა და ჭაობიანი ადგილები, ხოლო მას შემდეგ, რაც განუზრახავთ საკავშირო გამოფენის გამართვა, ეს ადგილი ხელოვნურად დაუშვრიათ და დაუტოვებიათ ტბის პატარა ნაწილი, რისი გამოყენებაც შეიძლებოდა გამოფენის მიზნისთვის, როგორც მდებარეობის ერთ-ერთი სილამაზე და სიძველის ნაშთი.

გამოფენის ადგილს სჭრის ქუჩა, სმოლენსკის ხიდით. ქუჩის მარცხენა მხარეზე მოთავსებულია საზღვარ გარეთული სახელმწიფოების პავილიონები და უცხოეთის სასოფ.-სამეურნეო გამოფენა, ხოლო მარჯვნივ, გაცილებით მეტი ტერიტორია დაკავებული აქვს ს. ს. რესპუბლიკათა კავშირის გამოფენას. მდინარე მთელი გამოფენის სიგრძეზე ხელოვნურადაა შეგუბებული და ამოღებული, რის გამოც მასზე თავისუფლად მოძრაობს ორი დიდი ვემი და გახშირებულია ნაოსნობა. არის ეგრეთვე ერთი ჰიდრო-პლანი, რომელიც ჰაერიდან ეშვება მდინარეში და როგორც წყალზე ისე ჰაერზედაც ამოგზაურებს ხალხს.

თვითონ გამოფენის ტერიტორია იშვიათ სანახაობას წარმოადგენს თავისი სილამაზით. ცენტრალურ ადგილზე გაშენებულია დიდი ტევის საზაფხულო თეატრი, რომელიც თავის სიდიდისა და წყობის მხრივ ძველი საბერძნეთის თეატრს ემსგავსება. თეატრში ყოველ დროს იმართება საღამოები და აკადემიური წარმოდგენები. განუწყვეტლად უკრავს მოსკოვის აკადემიური სიმფონიური ორკესტრი. იმართება ლექციები და მოხსენებები სხვა და სხვა თემებზე. რა დროსაც უნდა შეხვიდეთ გამოფენის ეზოში თეატრში უსათუოდ იქნება რაიმე აკად. ტეატრალური საქმიანობა. დარბაზი რამდენიმე ათი ათას კაცს იტევს. არის ეგრეთვე საზამთრო თეატრიც, რომელშიაც ჯერ მუშაობა არ არის დაწყებული. სასეირნოდ სახელდახელოდ მოწყობილ ბაღებს შორის ცის ქვეშ გაწყობილია კინო. შესავლის მახლობლად გაშენებულია დიდი ცირკი, სადაც ყოველდღიურად აჩვენებენ სხვა და სხვა კუთხეებიდან ჩამოყვანილ გარეულ და შინაურ ცხოველებს და ავარჯიშებენ. ყველაზე უფრო მეტს ინტერესს იწვევს გეოგრაფიული რუქა მიწაზე ამოჭრილი, ლენინის ცოცხალი ყვავილების სურათი და ახალი ბაღები სხვა და სხვა მცენარეულობით და ჭირნახულით, რომელნიც კი მოიპოვებიან ს. ს. რ. კავშირის სხვა და სხვა ქვეყნებში.

გეოგრაფიული რუქა მიწაზე, კავშირის რუქას წარმოადგენს დაწყებულია შავი ზღვით და კავკასიით აღწევს დასავლეთ ევროპის საზღვრებამდე, ჩრ. ოკეანემდე და თავდება შორეული აღმოსავლეთის და თურქესტანის საშუალო აზიის დასავლეთი საზღვრებით. რუქა ზედმიწევნითი ცოდნითაა ამოჭრილი. ოკეანეების ზღვებისა და დიდი მდინარეების ადგილები ამოვსებულია წყლით. მთების ადგილებზე, გაშენებულია მაღლობები, ტყე განსაცვიფრებელი სილამაზითაა შესრულებული. დაცულია აგრეთვე კლიმატიური და ნიადაგის შემადგენლობის სხვა და სხვაობა. საერთოდ რუქა დიდ ინტერეს იწვევს—და მრავალი მნახველებიც აწყდება. ლენინის სურათი შესრულებულია ცოცხალი ყვავილებით, რომელიც არ სჭკნება არას დროს. ყვავილების ფერები დალაგებულია სახის მოხაზულობის მსგავსად და მათი სრული ჰარმონიული შეზავება მეტის მეტად ლამაზ დეკორატიულ სურათს ქმნის. იგი ეკუთვნის ნიჭიერ მხატვარს, ჩვენს თანამემამულეს ნ. ბეჟანიშვილს (კახელია), რომელსაც მოსკოვის პრესა დიდი აღტაცებით შეხვდა და კარგი მერმისი

---

თან ვხედავთ მათ პოლიტიკურადაც აღიარძინებას. ეროვნული უფლებები დაცული ხდება პროლეტარულ სოციალისტურ ფედერაციის გარანტიებით.

**2. რეზოლიუცია პარტორგანიზაციების როლის შესახებ საბჭოთა აღმშენობლობაში.**

ს. მ. ს.-ფ. პ. სენაკის საბაზრო კონფერენციამ მოისმინა რა მოხსენება პარტიულ ორგანიზაციების როლზე საბჭოთა აღმშენებლობაში ადგენს: მოხსენება მიღებულ იქმნას ცნობად და პორტორგანიზაციების საზოგადოებრივ მუაობის საფუძვლად. დაევალოს სამაზრო კომიტეტს შესაფერი ზომებია მიღება მომავალ საბჭოთა არჩევნების და საბჭოთა მუშაობაში პარტორგანოების მხრივ აქტიური მუშაობის წარმოებისითვის, რეზოლიუცია მიღებულ იქნა ერთხმად.

**3. რევოლიუცია პარტიულ მუშაობის შესახებ.**

კონფერენციი აღნიშნავს რა, რომ საჭიროა პარტიულ მუშაობის მეტი ენერგიით წარმოება აღიარებს პრაქტიკულ ზომებად შემდეგს:

ა) შეძენილ იქნას პარტიული ლიტერატურა უპარტიო და პარტიულ მასაში გასავრცელებლად.

ბ) ეთხოვოს მთავარ კომიტეტს საქართველოს მასშტაბით პარტიულ მორიგ ყრილობაზე წარსადგენად შეიმუშაოს პარტიულ პროგრამის შესწორებული პროექტი.

ვ) სასტიკად დაცულ იქნას პარტწევრთა და კანდიდატთა მორალური და სოციალური სიწმინდე.

გ) ეთხოვოს მთავარ კომიტეტს მიიღოს ზომები პარტიის რიგების მავნე და ყალბ ელემენტებისაგან გაწმენდისათვის,

დ) პარტწევრად დამტკიცება (სათანადო კანდიდატების სტაჟის გავლის შემდეგ) ადგილობრივ პარტკომის შუამდგომლობის მიხედვით დაეკისროს სამაზრო კომიტეტს.

ე) დაევალოს რაიკომებს და თემკომებს პარტწევრთა რეგისტრაცია. ორგანიზიციის წევრთა სია, მათი ვინაობის აღნუსხვით ერთი ეგზემპლიარად გადაეცეს სამაზრო კომიტეტს.

ზ) წარმოებულ იქმნას კულტურული მუშაობა სოფლად პარტიულ გაზეთის გავრცელების, მოხსენებების, წარმოდგენების და სხვ. ჩატარების სახით,

თ) გაწეულ იქმნას დახმარება (მატერიალურ ფინანსიური) პარტიის ღარიბ წევრებზე უბედურ შემთხვევების დროს, შესაძლებლობის ფარგლებში.

ი) დაევალოს ორგანიზაციების და უჯრედების პასუხისმგებელ მდივნებს წარდგენა სამაზრკომის წინაშე წარმოებულ მუშაობის შესახებ წერილობითი მოხსენებით ყოველ თვე.

კ) სამაზრკომის ფინანსიური მხარის გაძლიერების მიზნით დაევალოს თემკომებს, რაიკომებს და უჯრედებს გამოგზავნა საკუთარ წმინდა შემოსავლის ერთი მესამედის სამაზრკომის სალაროში გადაგზავნა. კონფერენცია ერთხმად იღებს რეზოლიუციას.

**4. რეზოლიუცია ანტირელიგიური აგიტაციის შესახებ**

„კონფერენცია კატეგორიულად სთვლის რა დუაოთ იმ დებულებას, რომ სარწმუნოებრივი კულტი არის შედეგი გაუნათლებლობის უმეცრების და რომ სამღვდელოება ისტორიულად წარმოადგენდა გაბატონებულ კლასების საუკეთესო იარაღს მშრომელ მასის დასამონავებლად ადგენს:

ა) მოისპოს პარტიის რიგებში სარწმუნოებრივი ადათის ყოველი ნაშთი.

ბ) გაწეულ იქნას მასაში ენერგიული ანტირელიგიური სარწმუნოებრივი აგიტაცია-პროპაგანდა.

ვ) დაევალოს პარტორგანიზაციებს გაუწიოს აქტიური დახმარება საბჭოთა და პარტიულ ორგანოებს, მაზრის ხელისუფლებას ანტირელიგიურ კომპანიაში. რეზოლიუციას კონფერეაცია ადასტურებს ერთხმად.

**5. რეზოლიუცია ჰაეროპლანის აშენებისათვის აგიტაციის საკითხის შესახებ.**

„კონფერენცია აღნიშნავს რა რომ მთელი კაპიტალისტური მსოფლიო განიცდის სამხედრო იარაღების გაუმჯობესება-გამოგონების ცხელებას და აგრეთვე იმასაც, რომ საჭიროა სოციალისტურ რესპუბლიკებმაც განავითარონ საავიაციო საქმე რაც დაწყებულია უკვე. სთვლის საჭიროდ ჩვენმა პარტიამაც მიიღოს ამ დიდ მიზნის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა. კონფერენცია სთხოვს მთავარ კომიტეტს და გაზეთ—„ტრიბუნას" რედაქციას დაიწყოს აგიტაცია პარტორგანოს ფურცელზე ჰაეროპლან „მიწის მუშის" ასაშენებლად. დაევალოს პარტორგანიზაციებს დაუყონებლივ შეუდგნენ შემოწირულების აკრეფას მიწის მუშებ შორის, მთავარ კომიტეტისა და სამაზრკომისაგან სათანადო განკარგულება—ინსტრუქციის მიღებისთანავე".

რეზოლიუცია მიღებულ იქნა 36 ხმით ორმა თავი შეიკავა.

**6. რეზოლიუცია სამაზრო კომიტეტის მუშ. შესახებ.**

„კონფერენცია იღებს რა მხედველობაში იმ დამაბრკოლებელ პირობებს, რომელიც ეღობებოდა წინ მუშაობაში სამაზრო კომიტეტს სავსებით იწონებს მის პარტიულ მუშაობას და ჩვადადის მორიგ საკითხზე". რეზოლიუცია მიღებულ იქნა ერთხმად.

**7. რეზოლიუცია ადგილებიდან მოხსენების შესახებ.**

„კონფერენციამ მოისმინა რა მოხსენებანი ადგილებიდან, აღნიშნავს რომ პარტიული მუშაობა მაზრის მასშტაბით საერთოდ ნორმალურად წარმოებდა გარდა იმ ზოგიერთი იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც დაბისა თუ თემის საბჭოთა თუ პარტიული დაწესებულებათა წარმომადგენლები ცდილობდენ ხელის შეშლას პარტმუშაობაში. კონფერენცია გულწრფელ ამხანაგურ სალამს უძღვნის მაზრის უმაღლეს ორგანოებს თანაგრძნობის აღმოჩენისათვის". რეზოლიუციას კონფერენცია იღებს ერთხმად.

**8. რეზოლიუცია პარტიულ ამხანაგების შეიარაღების შესახებ**

„კონფერენციას ღრმად სწამს რა, რომ ა) პროლეტარულ რევოლიუციის პოზიციებზე მებრძოლთა შეიარაღება წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას საერთაშორისო კაპიტალის შემოსევისა ბატონობის დამხობისათვის.

ბ) პარტიულ ორგანიზაციები არიან მზად პირველ გამოძახების თანავე ჩასხდეს საბჭოთა ხელისუფლების და რესპუბლიკების დაცვის ბარიკატებზე, კონფერენცია ერთხმად ადგენს:

გ) ეთხოვოს მთავარ კომიტეტს, მიიღოს ზომები პარტიის საიმედო წევრების შეიარაღებისათვის.

რეზოლიუციების დამტკიცების შემდეგ რიგ გარეშე სიტყვა მიეცა ამხ. გრ. ხოფერიას. ამხანაგი აცნობებს იმფორმაციას კონფერენციის წინაშე იმ ღრმა თანაგრძნობის შესახებ, რომელიც გამოიჩინა ტფილისის მეოთხე რაიკომმა სენაკის მაზრაში პარტიულ გაზეთების გავრცელების საქმე. დელეგატები ფეხზე ადგომით და ტაშით ეგებება განცხადებას. კონფერენცია ადგენს:

„გამოეცხადოს ტფილისის მეოთხე რაიკომს ულრმესი მადლობა სენაკის დაბლა—სოფლებზე კულტშეფობის მიღებისათვის. კონფერენციას სწამს რომ სოფლისა და ქალაქის მუშების მჭიდრო კავშირი და სოლიდარული ურთერთობა შესძლებს კაპიტალისტურ წესწყობილების დამხობას და მის ნანგრევებზე სოციალისტურ სამეფოს აშენებას. გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას გაუმარჯოს მეოთხე რაიკომს.

**დაიწყო სამაზრო კომიტეტის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.**

წამოყენებულ სიის თანახმად სამაზრო კომიტეტში ერთხმად გავიდენ შემდეგი ამხანაგები:

1) სალიქანძე ონისიმე.
2) ხოფერია გრიშა.
3) კუცია აკაკი.
4) ტორჩინავა სტეფანე.
5) ჩიქოვანი ჯაბა.
6) გეგენავა ტურხაყან.
7) გახოკია ექვთიმე.
8) ნადარეიშვილი ანტონი.
9) ხუნწარია აკაკი.

**კანდიდატებათ:**

1) შელეგია რემანოზ.
2) ხოფერია ვლადიმერი.
3) ხუნწარია იონა.

**სარევიზიო კომისიაში:**

1) რუხაძე გრიგორი.
2) შეროზია გრიგორი.
3) ცანავა პავლე.

კონფერენციის დახურვის წინ გამოსასალმებელ სიტყვებს ამბობენ ამხ. **ანტონ ნადარეიშვილი.** მისი სიტყვა გაჟღენთილია რევოლიუციონური რწმენით. იგი მოუწოდებს ამხანაგებს პარტიულ მუშაობისაკენ. ძონძირ-ისულის ორგანიზაციის სახელით გამოდის ამხ. აკ. **ხუნწარია** იგი მოკლე, მაგრამ ლამაზ და შინაარსიან სიტყვაში აღნიშნავს იმ დიად მიზნებს, რომლის განხორციელებისათვის იბრძვის ჩვენი პარტია. კონფერენცია მქუხარე ტაშით უმასპინძლდება ამხანაგებს.

საბოლოო სიტყვას ამბობს ამხ. **გ. მუშიშვილი.** ამხ. ახასიათებს კონფერენციის ნაყოფიერ საქმიანობას მომავალ მუშაობის გეგმას და ამბობს: ჩვენმა კონფერენციამ კიდევ ჩასცა ძლიერი ლახვარი სოციალ ცხოვრების პარაზიტებს. დეე დაინახონ მუქთახორა ელემენტებმა, რომ საბჭოთა თანაწყობის და მშრომელი მასის დიქტატურის ციტადელს მედგრად იცავს ჩვენი ახალგაზრდა პარტია, რომელიც კომპარტიასთან ერთად იბრძვის ახალი ცხოვრების დასამყარებლად. გაუმარჯოს მუშებისა და გლეხების შეგნებულ რევოლიუციონურ ბრძოლას! ცხარე ტაში და ვაშას ძახილი ფარავს ამხანაგის სიტყვას.

ნაშუადღევის სამ საათზე თავმჯდომარემ კრება დახურულად გამოაცხადა. ამხანაგები მღერიან ინტერნაციონალს—დელეგატების ძმურის თანაგრძნობით ეთხოვებიან ერთმანეთს და შინისკენ მიეშურებიან ახალი ძალით, საბოლოო გამარჯვების იმედით და პარტიულ და საზოგადოებრივი მუშაობის ჟინით გამსჭვალულნი.

**ამხანაგი.**

[illegible]ქვა. სურათი დაახლოვებით ოთხ კვ. საჟენს [illegible].

გამოფენის შუა ადგილზე არის პატარა ტბა [illegible]ხედი ვერსის სიგრძეზე, რომელზედაც გადაყვანილია მრავალი ხიდები და მოძრაობენ პატარა [illegible]ები

ქუჩის თავზე თაღის მსგავსად გადაყვანილი [illegible]—აერთებს უცხოეთის პავილიონებს ს.ს.რ. კავშირის გამოფენასთან. საზღვარ-გარეთული გამოფენის ტერიტორია მოწყობილია და გაშენებული შვენიერი სილამაზით. გაშენებულია მრავალი პატარა ბაღები არის საზაფ. თეატრი, სავარჯიშო მოედანი და სხ.

გამოფენის სხვა და სხვა ადგილებზე, და პავილიონების მახლობლად შეგხვდებათ აუარებელი პლაკატები სხვა და სხვა სიმბოლიური სურათების, რომელთაც ძირითადი წარწერა რუსულ ენაზე აქვთ, ამის გარდა წარწერები არის ეროპიულ ენებზე (ხშირია ქართულიც).

მთელი სივრცე შეღებილია ხის ფერადი მოხ[illegible]ებით.

შესავალ ადგილებთან მოთავსებულია ექსკურსანტების სარეგისტრაციო და ცნობათა ბიუროები აგრეთვე აურებელი საბილეთო კასები—რის წინაც გრძელი „კუდები“ არ ილევა დილიდან ღამის 12 საათამდე. (შესავალი ბილეთების ფასი ასი მილიონია საბჭოთა ფულ. ნიშნებით. ა. კ. ფულით უდრის 2 მილიონს).

გამოფენის განაპირა ადგილებში მოწყობილია შვენიერი ხეივნები, ბოლოში კი არის ე. წ. „Нескучный“ ბაღი, რომელშიაც სეირნობა მართლაც არ არის მოსაწყენი.

დაახლოვებით ასეთია გამოფენის ადგილის გარეგანი სურათი ცხადია ყველა წვრილმანის—მაგრამ მნიშვნელოვანი ადგილების აღწერა, შეუძლებელია.

ყველაფერს საზეიმო დაღი აზის—ყოველივე [illegible] ხასიათითა განწყობილი. ყველა აქტიურია. [illegible] გარემო მოძრაობს და ამაშია მთელი სილამაზე და ჯადოსნობა უჩვეულო გამოფენისა.

თვალის—ერთი გადავლებით განვიხილოთ მისი შინაარსი და არსებითი მხარენი.

რ. ს. ფ. ს. რ. (უჭირავს მთელი სივრცის ორი მესამედი).

გამოფენის დათვალიერება ჩვენ დავიწყეთ **საბუნების მეტყველო განყოფილებით.** ეს პავილიონი მოთავსებულია ორ სართულიან მრგვალ, პარკეტის ხის შენობაში. შუა ადგილზე გაშენებულია საბუნებისმეტყველო ბაღი ლამაზი შადრევანით. გარშემო—კედლების გასწვრივ აწყვია ექსპონატები. დათვალიერება იწყება ს. ს. რესპუბლიკათა ნიადაგის შემადგენლობის ნიმუშების განხილვით. ფართო ტოპოგრაფიულ რუქაზე წარმოდგენილია სქემატიური პროფილი რესპუბლიკათა ნიადაგის შრეებზე,—რომელიც ფერადების საშუალებით თვალსაჩინო წარმოდგენას იძლევა, როგორც ნიადაგის, ისე მცენარეულობის გვარობის და ქიმიური შემადგენლობის შესახებ. უფრო მეტი დაკვირვებისათვის პროფილს თან ძართული აქვს აზიის და ევროპის რუსეთის ნიადაგის რუქა. შემდეგ იწყება მურმანის ნაპირების წყალ ქვეშა ტყის ხელსახები სურათები. აღებულია დაოგრამები წყლის მცენარეულობის ქიმიური შემადგენლობისა.

მესამე ნაწილში მოთავსებულია ხავსიანი ჭაობის ადგილები. აქ მოცემულია მცენარეულობის ჯიშები. გამოფენილია მრავალხნიანი (50—100 წლიანი) მცენარეები, რომელთა სიდიდე ნახევარ არშინს არ აღემატება და ახსნილია მათი ზრდის შემაფერხებელი მიზეზები.

ტაიგის ტყეს შესახებ სრულ წარმოდგენას იძლევა კარგათ შესრულებული ფოტოგრაფიული სურათები; დიდ მასტაბში ჯარისხის ჯიშების ნიმუშები. აქვეა ჭაობი და ჭაობის ხავსი. მინდვრის განხილვის შემდეგ მხატვრულად შესრულებულ სურათზე ნაჩვენებია იმის მაგალითი, თუ როგორ სწყვეტს მცენარე თავისი არსებობის ამოცანას. აღნიშნულია მცენარეულობის გზების შედარებითი განვითარება წყალში—სადაც აღებულია მიმართები სხვა და სხვა ადგილებში, როგორც Yicia costata ისე Actala spicata. საუცხოო ილიუსტრაციებშია მონაცემი „მცენარის ცხოვრება წყალში. მისი განვითარების ეტაპები და საზრდოობა. შემდეგ იწყება დიდი გეოლოგიური რუქა აზიის და ევროპის რუსეთის გეოლოგიური გამოკვლევისა. (მაშტაბი აღებულია: 100 ვერსი 1 დიუმში).

კრისტალებიდან პირველი კედელი უჭირავს დევონის სისტემას, მეორე სილურის და მესამე კემბრიჯის სისტემას.

ამინდის შესასწავლად—დიოგრამებშია წელიწადის ყველა დრონი, რომლებიც თავის მხრივ დაყოფილნი არიან ცალკე პერიოდებით და ყველგან დაცულია ამინდის ცვალებადობის სახეები თვალსაჩინო ფერებში.—საბუნებისმეტყველო განყოფილება მრავალ სხვა ფრიად საინტერესო მასალას შეიცავს რომელიც უფრო ვიწრო სპეციალურ ცოდნას მოითხოვს.

ამ პავილიონში შეიძლება მთელი კურსების თვალსაჩინოდ და პრაქტიკულად გავლა.

2. **შინა-მრეწველთა პავილიონი. (Кустарный павильон)** სივრცით და ტევით ყველა სხვა პავილონებს აღემატება. ექსპონატები სამ სართულზეა დალაგებული. ექსკურსანტის ყურადღებას შესვლისთანვე იპყრობს სახელმწიფო სატყეო მრეწველობა წარმოდგენილია ტყის და ხეების ჯიშები. როგორ იყენებენ ხის მასალას სხვა და სხვა ნივთების დასამზადებლად. პარკეტის სხვა და სხვა გვარი. ხის სახლების მოდელები—ძვირფასი ხეების იმპორტი. მეორე ადგილი რიგით უჭირავს სახელმწიფო ფაიფურის (фарфор) ხარხნის ნაწარმოებთ. ჭურჭლეულობის გავითარების ეტაპების. ტაბლიცებით ვრწმუნდებით, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ფაიფურის დამუშავების კულტურა ძალიან წინ იწევს. ხელოსანთა კავშირის „მებელი“-ს განყოფილებას საუკეთესო დგამი აქვს გამოფენილი, მათ დათმობილი აქვს ცალკე კუთხე, რომელიც მორთული აქვთ ყოველგვარი საჭირო, მათ მიერ დამზადებული ნივთებით.—დიდი ხელოვნური სილამაზით ირის მოცემული ყვავილთა ექსპონატების ადგილი. აქვე მოთავსებულია მრავალი ლიტერატურა ფლორის კულტურისა და დარიგებანი მეყვავილეობის გასავრცელებლად.—სასოფ. სამეურნეო იარაღების და მანქანების სამრეწველონი განყოფილებას განცვიფრებაში მოჰყავს მხილველი. ტეხნიკას ცხადათ ემჩნევა არაჩვეულებრივი განვითარება.—მინიატურაში მოცემულია მთელი ტელეფონის აპარატი მოკლე ქსელით.—ლითონების დამუშავება პროგრესიულია ეს ადგილი უცხოელების ყურადღებას ძალინ იპყრობს.—ჩვენთვის, როგორც პედაგოგიური ფაკ. სტუდენტისათვის, უდიდესი მნიშვნელობა ქონდა კადომის საცდელ-სანიმუშო სკოლა-სახელოსნოს გამოფენას. აქ შეიძლება უშუალო დაკვირვება შრომის სკოლის იდეისადმი მსგავსივე ინტერესით აღმძვრელია ნადეჟდის შრომის სკოლის გამოფენაზე. აქვეა მუსიკალური ინსტრუმენტების გამოფენა და მარინსკის ოლქის კოსმოდემიანის სკოლისა.—მოსკოვის სახალხო განათლების განყოფილებას ცალკე კუთხე უჭირავს და გრაფიულ სურათებში იძლევა გარკვეულ ცნობებს რისი გაკეთება შესძლო მან სახალხო განათლების დარგში უკანასკნელი სამოსწავლო წლის განმავლობაში.—რეზინო-ტრესტის ექსპონატები გვარიანია—სახელმწიფო-სპირტის და საშაქრე ტრესტები ახალს არაფერს იძლევიან—ძალიან საინტერესოა ს. მ. უ. საბჭოს შინა-მრეწველობის მუზეუმი. აქ მრავილი მასალაა შეკრებილი. საინტერესოა ტილოს საქსოვი მანქანა.

საზოგადოთ შინა-მრეწველთა პავილიონს მრავალი ექსკურსანტი აწყდება. უცხოელები ძალიან კმაყოფილები რჩებიან. გამოფენის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა მიწა-მრეწველობის პავილიონის განყოფილება გახსნას უცხოეთის გამოფენის ტერიტორიაზე.

გ. თავზარაშვილი.
(შემდეგი იქნება).

## რა მარტივად სწყდება დიდი საკითხი

შაბათს, 15 სექტემბერს განათლების მუშაკთა ცენტრალური გამგეობის სხდოიას შემთხვევით დავესწარი. ეს „შემთხვევა“ ნეტავი არ ყოფილიყო ჩემს ცხოვრებაში,, დღის წესრიგში კითხვა იდგა:

„ნაციონალურ საკითხში რ. კ. პ. მე-12 ყრილობის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება“. უნდა გვეფიქრა, რომ იმ დიდი ამოცანის ცხოვრებაში გასატარებლად ც. გ. პრეზიდიუმი რარმე სრულ გეგმას წარმოადგენდა. მაგრამ ც. გ.-ბის თავმჯდომარემ, შავერდოვმა, განაცხადა: საქართველოს განათლების კავშირში სხვა და სხვა ეროვნების წარმომადგენლები შემოდის და ამისათვის კავშირი ყველასათვის გასაგები უნდა ხდებოდესო. ვფიქრობ, ამით უნდა დავამთავროთ ეს კითხვაო.

ამ პატარა დეკლარაციის შემდეგ არავითარი შეკითხვა, არავითარი სიტყვა. კითხვა ამოიწურა (?) და გადასწყდა (?). როგორც ამ საგანზე ისე სხვა საგნებზე მსჯელობა რუსულ ენაზე სწარმოებდა. ნუ თუ **განათლების** კავშირში **საქართველოში**, სამშობლო ენაზე არ უნდა იყოს საუბარი? ერთმა წევრმა სხდომაზე გადაულაპარაკა მეორეს: ნუ თუ საქართველოს განათლების კავშირშიც ვერ ვილაპარაკებთ ქართულადო?

ნუ თუ რ. კ. პ. მე-12 ყრილობამ ეს დაადგინა? როდემდის და სანამდი ვიცით ასე? მართლაც კიდევ ერთი საინტერესო კითხვა ჟურნალის შესახებ; ც. გ. გამოუცია ჟურნალი ქართულ და რუსულ ენაზე. სანამ სხდომა გაიხსნებოდა ერთი ჯგუფი კითხულობდა გაზეთ „მუშა“-ს, სადაც უარყოფით ახასიათებდენ ხსენებულ ჟურნალს. „მოგვსპეს, კაცო, მოგვსპესო“ იძახოდენ. აი გამგეობის პლენუმის სხდომაც გაიხსნა. კითხვაა წამოყენებული ჟურნალის შესახებ. აღიარებულ იქმნა, რომ საქმე ვერაა კარგათო. და კიდევ დაადგინეს ჟურნალი ორივე ენაზე უნდა გამოიცესო. კერძოთ აღებული არც ქართული ვარგა და არც რუსული.

ძალების დაქსაქსვა, სხვა რომ არა იყოს რა ნუ თუ მიზანშეწონილია? მერე ხარჯები?... სჩანს დანიის სამეფოში ყოველივე ვერაა თავის ადგილას.

**პროვინციელი.**

## პატარა ფელეტონის მაგიერ

**პროვინციის რამერუმე**

(სურათები)

**იხევ იმერეთი.** Préface—მოუთმენლობამ მიმსხვერპლა.. „ჰაეროპლანმა“ დედაქალაქიდან ამბავი არ მოიტანა!..

Volontiére-თ დავიწყე წერა..

ძალზე შეშინებულიც ვიყავ!..

უსაქმოდ დავდიოდი...

„შრომის ბირჟა გაწმენდა“-ს მიპირებდა!..

„დროთა ლიგაც“ დამქმუქრა გამოგდებით.

და ვიწყებ „რამე რუმეს“.

სამტრედიის „დრამის“ სიმაგრეების აღებას შეუდექი.

ბრძოლის ყოველ შედეგს „სამტრედიისავე ჰაეროპლანით შეგატყობინებთ. .

ეხლა რუბიკონთან ვდგევარ...

ამ დილიდან ფრონტზე სიწყნარეა, მე სარდალი მოსვენებით ვარ და ბინოკლით გავსცქერი სამტრედიის სხვა ფრონტებს:

მოსჩანს ურემი „ცამდე“ შეშით გაჭედილი...

ხუთი ნირა (ლირა?) ღირს ამბობს პატრონი...

გაიყიდა. წაიღეს.

მორბის დედა კაცი პარასკევ გრძელი და შაბათ მოკლე (ასე ეძახიან სამტრედიელები ქალებს, რომელთაც თეთრეული კაბაზე გრძელი აცვიათ).

იწყევლება, იწყევლება და იწყევლება.

ის ცამდე აკოწიწებული შეშა თურმე ორი ღერი ყოფილა... „გულში“ ეშმაკობით „გაბერილი“ უნდა უჩივლო იმ კონტრ-რევოლიუციონერს და გარბის მილიციისკენ...

მოჰყავთ ავადმყოფი ექიმი. მას ღორის ჭირი გადასდებია...

აგერ ერთი ექიმი ტიფს შეუშლია...

—

ბაზრობა-პარასკევობაა!.. მთელი სამტრედია თაიგულსავით გადაშლილა!..

ჩანაოჭ-ჩანაოჭებული კაბები...

ჩანაოჭებული ხალათები ..

ჩანაოჭებული des chapeaux მოგაგონდებათ შოტლანდიის ჯარი, ინგლისს რომ ჰყავდა ჩვენს ქვეყანაში...

პირსახე გალესილი ქალები!..

შავად შეღებილი შავი წარბები...

მოხარშულ წითელ ქაღალდის წვენში ამოვლებული ტუჩები!..

ხუთ ფუთიანი ფეხები!..

ას წლიან მოხუცებივით წელში მოხრილნი!.. ირევიან ქუჩებში, გროვდებიან ყოველ სამიკიტნოს წინ...

„ჩტო დო სიხ პორ ნეტ უ სამტრედი ბულვარდა გდე ქე პოგულიატ“... წარმოსთქვამენ კულაშურ არისტოკრატიზმით „ჩაწალებული ბიჭები, ყველა წვერ გაპარსული და ულვაშ „შეინგლისურებული“

—

**ქალაქში პანიკაა.** ისტორიული უბედურება დატრიალებულა... მთავრობას რკინის გზის მახლობლად ყველა სამიკიტნოები „დაულუქავს“... სდგას გლოვის ზარი...

მოთქმა მწარე...

და დელეგაციები ცხარე...

გაგვიღეთ, გაგვიღეთ „სამოთხის კარები“ რას გარგებთ რომ მოვკვდეთ ყველა დაუმთვრალები...

იხვეწებიან ტკბილ ნუნუას ფრონტი...

„დროთა ლიგამ გაიმარჯვა“...

— ხვალ მოდი, ზეგ მოდი...

— შენი თხოვნა დაკარგულა...

გაისმის აქაურ ინსტიტუტებში...

განათლების ასპარეზზე changement მომხდარა...

სკოლის „რეორგანიზაციამ“ რომელზეც ანტონ ფურცელაძის დროს იტყოდენ ძველი ღვინო ახალ ფურცელშიო. ახალი ამბები მოიტანა?..

— ვინ დანიშნეს?

— სად დანიშნეს?

— ვინ აღამაღლეს?

— ვინ დაადაბლეს?...

აი, ეს კითხვები ძოაქვს ჩემთან იმერეთის ზენა ქარს განათლების ასპარეზიდან...

პედაგოგი **ს.** რვა წელიწადია ალგებრას რომ ასწავლის, სამტრედიას სტოვებს. ყველას სწყენია ს—ს წასვლა, თითქმის მოსთქვამენ...

**მოწაფე ბავშვები** იგლოვენ ალგებრას... 2878759 x და ამდენ y ტრაურს იცვამენ რესპუბლიკის საყვარელ თამადის მოშორების გამო...

ვახ, რა მწარეა ეს განშორება ამბობენ ისინი მას ვერ ჩაატკბობს ვერც ყანწებით და ვერც „Samovar“-ებით გადაკვრა!...

ქ. ვ. დ. და ელ. ს-ს სტირიან როგორც წლეების სიგრძეზე ერთად შეჟანგულ ამხანაგს...

— მეც ავიფარე თვალთ ცხვირსახოცი..

— შენ რაღას ჰმუნვობ მეტყვი მკითხველო.

— ვაჰ ერთი ქალაქურად ტფილურად აღზრდილ კაცსა ვსჭვრეტდი ამ სატრედიაში და ისიც მიდის...

— Jl ètait la mèmoire de la ville Tiflis ancienuèe!..

კიდევ რა მოხდა ამ ფრონტზე?

ჟურნალი გამოვიდა „განათლების მოამბე“ რომელიც დიდაქტიკას ესთეთიკას და მთლად პედაგოგიკას მოგვითხრობს madame staélle ფელეტონებით...

ეს ჟურნალია 222 გვერდიანი და ფასი მისი ყოველ მორიგ გამოცემის დროს კლებულობს, ვითაარცა ეცემა ხვანთქრის ლირა!..

ერთმა მექრონიკემ შემატყობინა, რომ განათლების ფრონტზე ქუთაისში უფრო ცხელი ამბებიაო!.

მინდა წავიდე იქ!..

მაგრამ როგორ წავიდე?

ბილეთის ფული არ მყოფნის.

უბილეთოდ ჩავჯდე მატარებელში?

ეს შეუძლებელია №№№№№-ს და კიდევ № ს გამო...

თუ ჩამოიქროლა [illegible] „ზარია ვოსტოკას“ [illegible] და რაიონზე [illegible]...

აუცილებლად [illegible] ქალაქი „სავარდო და სამაისო ქუთაისი“...

— ხმები ნაირნაირია...

— ქუთაისის პედაგოგებმა ყველამ უნივერსიტეტის Lesignes გაიკეთეს, დაჟანგულ ფოლაქებს ფერენ და „ბრჭყვიალდებიანო“.

იქნებ მართლა?!.

რა ვსთქვა ამაზე?

გვერდში პედაგოგი მიზის, მგონი ისიც ემზადებოდა „გასაბრჭყვიალებლად გამახსენდა ვიქტორ ჰიუგოს Quatre Vingt treize“

და ვსთქვი:

— La forme est morte.

— Vive la forme!..

—

შენდამი მორთმეული „რამერუმიდან“

მკითხველო ალბად გაიგე, რომ მე ქუთაისისაკენ მივფრენ „ზარია ვოსტოკა“-ს ჰაეროპლანით!..

ეს უკანასკნელი ამბავიჯ ინებე სამტრედიისა და მერე adieu!

— პედაგოგები შეყრილიყვენ და ავანსად იკვეხოდენ...

„ეტოტ უჩებნი გოდ უ მენია ბუდეტ ველიკოლეპნი“ იძახის № 1.

— შენც ამბობ რაღა, შენ გემნაზიის ინსპექტორს ედარები სამოქალაქო კლასი ინსპექტორად ახლა დანიშნული“ უპასუხებს № 2.

— სამოქალაქო კლასი ყველაზე მცხოვანია მან მთელი საქართველო გამოზარდა. რა გასაკვირია რომ გაჯობა?

ამბობს № 1.—Qui vivra—verra!..

— ჯამაგირები შეჩერედა მოვიდა ამბავი ქუთაისიდან...

ვაი, ვაი, ვაი!.

ვაი ინდაურო როგორ გახდები, გასუქებულო და ნაპატიებო!..

— ვაი ჩერვონცების შეძენის ოცნებავ!..

ვაი, ლირების „ვალიუტავ“.

ვაი, კალოშებო!..

— დამაღრჩობს მეპურე

— ველარ გავივლი მეხორცეს წინ!..

— მომკლავს ჩემი ცოლი!..

—

— ბარემ სასამართლოს ქრონიკასაც მოგყიდით!..

ვინ რას სჩივის...

— ცოლის გაშვებას...

— ქმარის გაშვებას...

— უშვილობას.

— ქმრის უძლურებას.

— გაქორწინებას, გაქორწინებას და კიდევ გაქორწინებას...

ახლა ყველას სჯობია სასამართლოში სამსახური ან ვექილობა!..

საქმე ბევრი იქმნება!..

თან interessent,..

მეც ვეძიებ „ადვოკატობას“

მაშინ მშვიდობით „რამე რუმე“ ვილა მოიცლის მისთვის.

**ევროპიელი.**

## ბრძანება

**კავკასიის წითელ-დროშიანი არმიის მხედრობისადმი.**

**№ 787.**

ქ. ტფილისი. 18 სექტემბერი 1923 წელი.

§ 1.

როგორც იტყობინება გაზეთი „ამიერ-კავკასიის რკინის გზელი *) (№ 219) ჯავშნიანი მატარებლის № 204 წითელ არმიელმა ამხანაგმა გუსიევმა სიმთვრალის დროს რკინის-გზელთა კლუბში გამართა ჩხუბი, რომლის დროსაც უღირსად და კადნიერად მოიხსენია ქართული ენა. იყო რა სამგზით ის წარდგენილი ჯავშიან—მატარებლის სამხედრო კომისართან, რაღაც მიზეზის გამო იგი სამჯერვე იყო განთავისუფლებული. ის კვლავ განაგრძობდა თავის ხულიგანურ საქციელს.

ღრმა ზიზღით აღვნიშნავთ რა ამ ფაქტს, რომელიც ჩირქსა სცხებს კავკასიის წითელ არმიას, რომელმაც თავის სისხლით გაუკაფა გზა თავისუფლებისაკენ და დამოუკიდებლობისაკენ კავკავსიის ჩაგრულ ერებს, ვუბრძანებ:

უფროსებს და კომანდირებს არტილერიისას, მოახდინონ დაუყოვნებლივ გამოძიება და დამნაშავენი მისცენ სამართალში.

§ 2.

ბრძანება ესე წაკითხულ იქმნას ყველა როტებში, ბატარეებში და დაიბეჭდოს გაზეთებში.

დრ. უფროსი არმიისა **კუზნეცოვი.**
წევრი რევ-საბჭოსი **ელიავა.**
პოლიტ-გამგეობის დრ. უფროსი **ხუტირინი.**
დრ. უფროსი შტაბისა **გედევანიშვილი.**

*) იხ. „ტრიბუნა“ № 574.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტ.-ჯგუფებისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 665 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კონსტანტინის ქუჩ. № 4.